

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს № 167/01-01 ბრძანების საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის „მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ და „რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრის (ინტერდისციპლინური) მიმართულებების“ ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის № 51/2025 დადგენილების პუნქტი 4-ის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

ოქმი № 3 (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი 7 ოქტომბერი 2025 წ.

11:00 სთ, თსუ XI კორპ. ოთახი #360

სხდომას კომისიის ხუთი წევრიდან ესწრებოდა ხუთივე:

1. როლანდ ომანაძე - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. პაპუნა ქარჩავა - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. არჩილ ყიფიანი - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. თინათინ დავითაშვილი - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. რომან გალდავა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, მათემატიკის დეპარტამენტისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის „მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ და „რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ მიმართულებების ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, შეფასების პირველი (კონკურსანტთა საბუთების გაცნობა) და მეორე ეტაპების (კონკურსანტებთან გასაუბრების) შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ როლანდ ომანაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების ორივე ეტაპის და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და

კანდიდატების საკონკურსო დოკუმენტაციების ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. მათემატიკის დეპარტამენტის, მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრის (ინტერდისციპლინური) მიმართულების ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე („ა“ კატეგორია), შემოტანილი იყო ერთი - ირაკლი ჩიტაიას განცხადება. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის „რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ მიმართულების ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ერთ ვაკანსიაზე შემოტანილი იყო ერთი - გია ავალიშვილის განცხადება. ხოლო იმავე მიმართულების „ბ“ კატეგორიის ორ ვაკანსიაზე შემოტანილი იყო სამი - ჯემალ ფერაძის, ჯემალ როგავას და არჩილ პაპუკაშვილის განცხადებები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრების შედეგები:

1. კონკურსანტი - ირაკლი ჩიტაია

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ირაკლი ჩიტაიას დაუსვეს კითხვები, მისი ანკეტური მონაცემების გადამოწმების მიზნით, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ. ჰკითხეს ასევე მის მუშაობაზე მათემატიკის პოპულარიზაციის მიმართულებითა და სამომავლო გეგმებზე, მის უცხოელ თანაავტორებზე, საერთაშორისო კონფერენციებზე. შეკითხვები ასევე შეეხებოდა ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნასთან. პრეტენდენტმა დასმულ შეკითხვებს სრულყოფილად და ამომწურავად უპასუხა.

კონკურსანტ ირაკლი ჩიტაიას განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (PhD, მათემატიკის დოქტორი, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით), სამსახურებრივი გამოცდილება (ირაკლი ჩიტაია 2018 წლიდან კითხულობდა პროფილის შესაბამის კურსებს თსუ-ში, თავისუფალ უნივერსიტეტში და აგრარულ უნივერსიტეტში), აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტს აქვს პედაგოგიური გამოცდილება (ირაკლი ჩიტაია მოწვეული ლექტორის სტატუსით, 2018 წლიდან კითხულობდა პროფილის შესაბამის კურსებს, თსუ-ში, თავისუფალ უნივერსიტეტში და აგრარულ უნივერსიტეტში. ის კითხულობდა 7 სასწავლო კურსს ბაკალავრიატში, მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის საგნების ნუსხაში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი 4 სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდაა, უკვე აქვს 12 სამეცნიერო ნაშრომი მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში. კონკურსანტის ციტირების ინდექსია 42,

h-ინდექსი – 4, g-ინდექსი – 6; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში – 12, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა – 3. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულად შესაბამისი ნაშრომი. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით არის „მაღალი“.

შეფასების IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტს აქვს მჭიდრო კავშირები ცნობილ უცხოელ სპეციალისტებთან, კარგად ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს, იცის უცხო ენები. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით არის „მაღალი“.

2. კონკურსანტი - გია ავალიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ გია ავალიშვილს დაესვა კითხვები, ანკეტური მონაცემების გადამოწმების მიზნით, მისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ. იყო კითხვები შეეძლო თუ არა მას მართლაც წაეკითხა ლექციები მის მიერ ანკეტაში ჩამოთვლილ ყველა საგანში. პასუხი იყო „დიახ“, ცხადია გარკვეული წინასწარი მომზადების შემდეგ. კონკურსანტს ასევე დაუსვეს კითხვები მის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, მის უცხოელ თანაავტორებზე, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობაზე. პრეტენდენტმა დასმულ შეკითხვებს სრულყოფილად და ამომწურავად უპასუხა. მისი განათლება, სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი), რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (გ. ავალიშვილი 2009 წლიდან დღემდე არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. მისი საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, სასწავლო კურსები ბაკალავრიატში თუ მაგისტრატურაში, შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის საგნების ნუსხაში, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი 4 სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს აქვს 16 ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, ასევე 55 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია; კონკურსანტის ციტირების ინდექსია – 774, h-ინდექსი – 13, g-ინდექსი – 25. ბოლო 6 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული აქვს

22 მოხსენება. მონაწილეობდა 2 საგრანტო პროექტში. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულად შესაბამისი ნაშრომი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ასევე მისი საინტერესო აქტივობები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტი არის სამაგისტრო პროგრამის "გამოყენებითი მათემატიკა" თანახელმძღვანელი და კოორდინატორი; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (2020 წ.); მიღებული აქვს ჯილდო საუკეთესო ზეპირი მოხსენებისათვის წმინდა და გამოყენებითი მათემატიკაში მე-8 საერთაშორისო კონფერენციაზე (ბრიუსელი, ბელგია, 2019 წ.); აქვს კომპიუტერთან თავისუფლად მუშაობის უნარი, იცის ძირითადი კომპიუტერული პროგრამები, მათ შორის MS Windows, MS Word, MS Excel, MS Access, MS PowerPoint, MS Visual Studio, MS SQL Server, MS Edge, Google Chrome, Mozilla Firefox, Zoom Workplace, MS Teams, Borland Delphi, Spider, VBA, C/C++, Python, Object Pascal, Matlab, Mathematica, Maple, ArcGIS, TEX, TEX Studio, Scientific Workplace, SPSS, R Studio, Adobe Acrobat Professional, Adobe, Photoshop, CorelDraw. ფლობს ინგლისურს და რუსულს თავისუფლად, ფრანგულს - მწირად. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით არის „მაღალი“.

3. კონკურსანტი - ჯემალ ფერაძე

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ჯემალ ფერაძეს დაესვა კითხვები მისი ანკეტური მონაცემების გადამოწმების მიზნით. მას ასევე დაუსვეს შეკითხვები სამომავლო საქმიანობის შესახებ, უცხოელ თანაავტორებზე, საერთაშორისო კონფერენციებზე. პრეტენდენტმა დასმულ შეკითხვებს სრულყოფილად უპასუხა. ჯემალ ფერაძის განათლება, სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006 წლიდან დღემდე არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასოცირებული პროფესორი, მანამდე - თსუ-ს პროფესორი), საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, სასწავლო კურსები ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების საგნების ნუსხაში, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი 5 სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში აქვს 5 პუბლიკაცია იმპაქტ ფაქტორიან

ჟურნალებში, სულ კი აქვს 23 სამეცნიერო პუბლიკაცია იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში. აქვს კიდევ 66 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია. იგი არის 4 სასწავლო კურსის სასწავლო მასალების ავტორი. კონკურსანტის ციტირების ინდექსია 231, h-ინდექსი – 5; g- ინდექსი 9. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა - 18. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტი არის ერთი წარმატებით დაცული სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი. მის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: წლების განმავლობაში კონკურსანტი იყო მათემატიკის დეპარტამენტის სხავდასხვა კომისიის წევრი; საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის გიორგი ნიკოლაძის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის წევრი (2025); ეწეოდა და ეწევა სარეცენზიო საქმიანობას. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით არის „მაღალი“.

4. კონკურსანტი - ჯემალ როგავა

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ჯემალ როგავას დაუსვეს კითხვები მისი ანკეტური მონაცემების გადამოწმების მიზნით, ჰკითხეს ასევე მის სამომავლო გეგმებზე, მის უცხოელ თანაავტორებზე, ნაშრომთა ციტირებებზე, საერთაშორისო კონფერენციებზე. შეკითხვები ასევე შეეხებოდა ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნასთან. პრეტენდენტმა დასმულ შეკითხვებს სრულყოფილად და ამომწურავად უპასუხა. ჯემალ როგავას განათლება, სამეცნიერო ხარისხი (მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006 წლიდან დღემდე უკავია მათემატიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, სწორედ ვაკანსიად გამოცხადებული, თანამდებობა. ის კითხულობდა 18 სასწავლო კურსს, აქედან 13-ს ბაკალავრიატში და 5-ს მაგისტრატურაში). სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის სავალდებულო/არჩევითი საგნების ნუსხაში, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს აქვს 25 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 73; კონკურსანტს აქვს მაღალი ციტირების ინდექსი: Google scholar: 324, h – ინდექსი-10; g - ინდექსი-10 ; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში – 13. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი იყო მონოგრაფია, რომელიც შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. წარმოდგენილია სამეცნიერო კვლევების საინტერესო კონცეფცია. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics (სარედაქციო კოლეგიის წევრი), ჟურნალი Applied Mathematics, Informatics, and Mechanics (რედაქტორის მოადგილე), ჟურნალი Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics (სარედაქციო კოლეგიის წევრი), ჟურნალი Proceedings of I. Vekua Institute of Applied Mathematics (სარედაქციო კოლეგიის წევრი). სტუდენტების, მათ შორის დოქტორანტების, ხელმძღვანელობა. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 4 საკანდიდატო და ორი PhD - დისერტაცია. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით არის „მაღალი“.

5. კონკურსანტი არჩილ პაპუკაშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ არჩილ პაპუკაშვილს დაესვა კითხვები მისი ანკეტური მონაცემების გადამოწმების მიზნით. ჰკითხეს სილაბუსებზე, ელექტრონულ კურსებზე, სამომავლო გეგმებზე, საერთაშორისო კონფერენციებზე, სამეცნიერო გრანტებზე. პრეტენდენტმა დასმულ შეკითხვებს სრულყოფილად უპასუხა. განათლება, სამეცნიერო ხარისხი (მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით), სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება ვაკანსიის შესაბამისია - 1992 წლიდან დაწყებული დღემდე ის კითხულობს ვაკანსიის პროფილის შესაბამის სხვადასხვა სასწავლო კურსს თსუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტზე და საქართველოს უნივერსიტეტში, შედგენილი აქვს ერთი ელექტრონული სალექციო კურსი. 2012-2016 წლებში ის იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი. მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმების სავალდებულო/არჩევითი საგნების ნუსხაში, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი 5 სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში

დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა ეს არის წაკითხული კურსების სილაბუსები, თვითონ არცერთის ავტორი არ არის. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „საშუალო“. შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს ბოლო 6 წელიწადში აქვს 1 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, 9 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია და კიდევ 48 პუბლიკაცია 1982-2018 წლებში; მისი შრომების ციტირების ინდექსი არის 85, h – ინდექსი-6; g – ინდექსი-8; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში – 15. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი, შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. წარმოდგენილია 3 გვერდიანი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, მთლიანობაში საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით არის „საშუალო“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): ერთი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი. გასულ წლებში იყო ერთი დოქტორანტის ხელმძღვანელი, 10 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, 3 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი. იცის ძირითადი კომპიუტერული პროგრამები, MATLAB, Maple, Turbo pascal, C++ და სხვა. ასევე იცის ენები: რუსული კარგად, ინგლისური დამაკმაყოფილებლად. საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით არის „მაღალი“.

კომისიის ხუთივე წევრმა ჩატარებული გასაუბრების შესახებ გამოთქვა საკუთარი აზრი გასაუბრებისგან მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

აღნიშნეს, რომ კონკურსის მეორე ეტაპი - გასაუბრება ჩატარდა სრულყოფილად, საკონკურსო წესების სრული დაცვით.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის როლანდ ომანაძის ინფორმაცია თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, მათემატიკის დეპარტამენტისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის „მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ და „რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ მიმართულებების ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგებისა და კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარების შესახებ. მოქმედი დებულების თანახმად, ამ დებულების სრული დაცვით, ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგები ასეთია:

ა) მათემატიკის დეპარტამენტისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის „მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ მიმართულების ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორიის) ერთ ვაკანსიაზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტმა ირაკლი ჩიტაიამ მიიღო: მომხრე - 5 ხმა, წინააღმდეგი - 0 ხმა;

ბ) კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის „რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ მიმართულების ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში სამ ვაკანსიაზე (ერთი „ა“ და ორი „ბ“ კატეგორია): ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. გია ავალიშვილი („ა“ კატეგორია): მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0;
2. ჯემალ ფერაძე („ბ“ კატეგორია): მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0;
3. ჯემალ როგავა („ბ“ კატეგორია): მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0.
4. არჩილ პაპუკაშვილი („ბ“ კატეგორია): მომხრე - 0, წინააღმდეგი - 5.

აზრი გამოთქვას: როლანდ ომანაძემ, თინათინ დავითაშვილმა, რომეო გალდავამ, პაპუნა ქარჩავამ და არჩილ ყიფიანმა. მათი აზრით, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კონკურსანტებთან კომისიის წევრთა გასაუბრების შედეგად, ირაკლი ჩიტაია სავსებით აკმაყოფილებს მათემატიკის დეპარტამენტისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის „მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ მიმართულების ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორიის) ვაკანსიების შესაბამის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ასევე, გია ავალიშვილი სავსებით აკმაყოფილებს კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის „რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ მიმართულების ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორიის) ვაკანსიის შესაბამის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს აგრეთვე, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კონკურსანტებთან კომისიის წევრთა გასაუბრების შედეგად, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის „რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ მიმართულების ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში („ბ“ კატეგორია) არსებულ ორ ვაკანსიაზე შემოსული იყო სამი განცხადება: ჯემალ ფერაძის, ჯემალ როგავას და არჩილ პაპუკაშვილის. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და კანდიდატებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კონკურსანტ პაპუკაშვილის მონაცემები საგრძნობლად ჩამორჩება კონკურსანტების ჯ. ფერაძისა და ჯ. როგავას შესაბამის მონაცემებს. კერძოდ, ფერაძეს აქვს 23 პუბლიკაცია დადებით იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში; როგავას – 25, პაპუკაშვილს – 1. ფერაძეს აქვს ციტირების ინდექსი 231, h-ინდექსი 5 g- ინდექსი 9. როგავას აქვს ციტირების ინდექსი 324, h-ინდექსი 10 g- ინდექსი 10. პაპუკაშვილს აქვს აქვს ციტირების ინდექსი 85, h-ინდექსი 6 g-ინდექსი 8 . ფერაძეს და როგავას წარმოდგენილი აქვთ სილაბუსები თავიანთი ავტორობით, პაპუკაშვილს – მხოლოდ სხვათა ავტორობით, რომლის შესაბამის საგნებსაც კითხულობდა. ფერაძეს და როგავას თსუ ელექტრონულ პორტალზე სტუდენტთათვის მოთავსებული აქვთ 4 - 4 ელექტრონული კურსი, პაპუკაშვილს არცერთი. რადგან ამ სამი კანდიდატიდან უნდა შეირჩეს მხოლოდ ორი, კომისიის წევრებმა უპირატესობა ფერაძესა და როგავას მიანიჭეს.

დაადგინეს:

ა) მათემატიკის დეპარტამენტის, მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრის (ინტერდისციპლინური) მიმართულების ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე („ა“ კატეგორია), კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა

1) ირაკლი ჩიტაია.

ბ) კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის „რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრის (ინტერდისციპლინური)“ მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

1) გია ავალიშვილი (კატეგორია „ა“);

2) ჯემალ ფერაძე (კატეგორია „ბ“);

3) ჯემალ როგავა (კატეგორია „ბ“);

ხელმოწერები

კომისიის თავმჯდომარე:



/ როლანდ ომანაძე /

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:



/ პაპუნა ქარჩავა /

კომისიის მდივანი:



/ არჩილ ყიფიანი /

კომისიის წევრები:



/ თინათინ დავითაშვილი /



/ რომეო გალდავა /